„ვამტკიცებ“ / Confirmed by:

შპს „კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი“-ს კედლის
მხატვრობის დეპარტამენტის
დირექტორი
Director
of the Conservation of Wall Painting Department
PLC "Courtauld Institute of Art"

---------- დოქტორი დევიდ პარკი
Dr. David Park

„ვამტკიცებ“/ Confirmed by:

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტო"_ს
გენერალური დირექტორი
Director General of
LEPL "National Agency for Cultural Heritage
Preservation of Georgia"

---------- დოქტორი მ. ბოჭოიძე
Dr. M. Bochoidze

The Act of Approval
მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი / Tbilisi 5.12 *2013*

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს შემდეგი თანამშრომლები: პაატა გაფრინდაშვილი, მანანა სურამელაშვილი, მანანა ვარძელაშვილი და ქრისტინე დარჩია და მეორეს მხრივ, შპს „კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი“-ს კედლის მხატვრობის დეპარტამენტის დირექტორი, დოქტორი დევიდ პარკი ვადასტურებთ, რომ სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა" ("შემსყიდველი") და შპს „კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი“-ს კედლის მხატვრობის დეპარტამენტის დირექტორს, დოქტორ დევიდ პარკს ("მიმწოდებელი") შორის - 2013 წლის პროგრამის ქვემიმართულების, კერძოდ, „კურტოს საკონსერვაციო ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფარგლებში კედლის მხატვრობის კონსერვაციისა და შესაბამისი სატრეინინგო კურსის განხორციელების ხელშეწყობა“ (კოდი 02 07) ფარგლებში, 2013 წლის 12 ივლისს დაიდო ხელშეკრულება #3/161: „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მსოფლიოში აპრობირებული თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით ვარძიის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ღვთისმშობლის სახ. ეკლესის ჩრდილოეთ კედლის მოხატულობის საკონსერვაციო მდგომარეობის შეფასება, კვლევითი და მეთოლოგიური საკონსულტაციო მომსახურეობა“-ზე (CPV კოდი 73300000). რის საფუძველზეც, "მიმწოდებელმა" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შეასრულა სამუშაოები და მიმდინარე წლის 5 დეკემბერს წარმოადგინა შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

აღნიშნული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 36 000.00 (ოცდათექვსმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

We, hereafter signing this document: authorized persons of LEPL "National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia": Paata Gafrindashvili, Manana Suramelashvili, Manana Vardzelashvili and Kristine Darchia and Dr. David Park, Director of the Conservation of Wall Painting Department at PLC "Courtauld Institute of Art" confirm, that within the framework of the Cultural Heritage program 2013, in particular: "In cooperation with the Courtauld Institute of Art, to endorse the mural painting conservation and training course" (code 02 07), and according to the Contract # 3/161 of July, 12, 2013, (CPV Code 73300000), the Supplier implemented the conservation condition assessment and survey of the mural paintings of the North part of the Church of the Dormition of the Virgin at the Vardzia Monastery complex and methodological consultations according to the modern international stnadarts of methodological approachs. The report on implemented works has been elaborated and presented to the Agency on December, 5, 2012.

Total cost of the "Service" is an equivalent to 36 000.00 (thirty-six thousand) US Dollars equivalent in GEL.

"მხარეებს ერთმანეთის მინართ პრეტენზიები არ გააჩნიათ".
The "Parties" have no claim against each other

<u>ინსპექტირების ჯგუფი/Inspection Team:</u>

პაატა გაფრინდაშვილი/Paata Gaprindashvili

მანანა სურამელაშვილი /Manana Suramelashvili

მანანა ვარძელშვილი/Manana Vardzelashvili

ქრისტინე დარჩია/Kristine Darchia

06 დეკემბერი, 2013

ინსპექტირების დასკვნა

კულტურული მემკვიდრეობის 2013 წლის პროგრამის ქვემიმართულების, კერძოდ, „კურტოს საკონსერვაციო ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფარგლებში კედლის მხატვრობის კონსერვაციისა და შესაბამისი სატრეინინგო კურსის განხორციელების ხელშეწყობა“ (კოდი 02 07) ფარგლებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს” შემდეგი თანამშრომლების: პაატა გაფრინდაშვილის, მანანა სურამელაშვილის, მანანა ვარძელაშვილისა და ქრისტინე დარჩიას მიერ შემოწმებულ იქნა - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა” (“შემსყიდველი”) და შპს „კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი“-ს კედლის მხატვრობის დეპარტამენტის დირექტორს, დოქტორ დევიდ პარკს (“მიმწოდებელი”) შორის 12.07.2013 წ. გაფორმებული #3/161 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

მიმდინარე წლის 5 დეკემბერს ინსპექტირების ჯგუფმა ჩაიბარა: „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მსოფლიოში აპრობირებული თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით ვარძიის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ღვთისმშობლის სახ. ეკლესის ჩრდილოეთ კედლის მოხატულობის საკონსერვაციო მდგომარეობის შეფასებითი, კვლევითი და მეთოლოგიური საკონსულტაციო მომსახურეობის“ ტექსტური, გრაფიკული და ფოტოდოკუმენტირებული ანგარიში, მათ შორის: კედლის მხატვრობის თავდაპირველი ტექნოლოგიის შესწავლის შედეგები (დეტალური კვლევისა და აღნუსხვის; მოხატულობის ყველა ფენის in situ მიკროსკოპირების; აღებული სინჯების ანალიზის შედეგები; კედლის მხატვრობის მდგომარეობის ანალიზი: არსებული მდგომარეობის კვლევის დოკუმენტირების შედეგები; მდგომარეობის განმსაზღვრელი ვიზუალური ტერმინოლოგია; დაზიანებათა გამომწვევი ბუნებრივი მიზეზები: ტაძრის ექსტერიერის მაკროკლიმატისა და ინტერიერის მიკროკლიმატის მონიტორინგი; მიკროკლიმატის მონიტორინგის 2011 წლიდან დაგროვებული ინფორმაციის არსებულ მდგომარეობასთან შედარების შედეგები; მონიტორინგის განახლებული სტრატეგია; მონიტორინგისათვის ახალი წერტილებისა და ტიპების დადგენა; მდგომარეობის სტაბილიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებების შედეგები: ბათქაშის შრეებად დაშლისა და საღებავის ფენის ცვენის მიზეზების კვლევა და შეფასება; კედლის მხატვრობის მდომარებისა და თავდაპირველი ტექნოლოგიის შესახებ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნიმუშების გაწმენდა და მეცნიერულად შეფასების შედეგები: სინჯების აღება და შემდგომი ანალიზი - როგორც ავთენტური, ასევე გვიანდელი ჩარევების დროს გამოყენებული მასალების ანალიზი - პორტატიული ინფრაწითელი სპექტროსკოპის (ATR-FTIR) გამოყენებით; პროექტის მონაცემთა განახლებადი ბაზა.

მოცემული ანგარიში განხილულ იქნა სააგენტოს მონუმენტური სახვითი ხელოვნების სექციაზე, სადაც მან მოწვეულ დარგის სპეციალისტთა მხრიდან ერთხმად მიიღო უმაღლესი დადებითი შეფასება.

აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ინსპექტირების ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია მიმწოდებელთან გაფორმდეს მიღება ჩაბარების აქტი.

<u>ინსპექტირების ჯგუფი:</u>

პაატა გაფრინდაშვილი

მანანა სურამელაშვილი

მანანა ვარძელაშვილი

ქრისტინე დარჩია